


2019 წლის ივლისში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა¹ 148 ლარი შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - 224 ლარი. საოჯახო ტიპის სასტუმროების² საშუალო ფასმა ივლისში 73 ლარი შეადგინა.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა ივლისში 482 ლარი შეადგინა. თბილისში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 588 ლარი შეადგინა, აჭარაში - 453 ლარი, ხოლო სამცხე-ჯავახეთში - 380 ლარი და კახეთში - 399 ლარი.



გრაფიკი 1: მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

სასტუმროს ფასების ინდექსი

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი³ 2019 წლის ივლისში, 2019 წლის ივნისთან შედარებით, 0.2%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 2.7%-ით გაიზარდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 5.7%-ით შემცირდა.

2019 წლის ივლისში, 2018 წლის ივლისთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 6.5%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 8.7%-ით შემცირდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 2.8%-ით შემცირდა.

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2019 ივლ/2019 ივნ	2019 ივლ/2018 ივლ	2019 ივლ/2019 ივნ	2019 ივლ/2018 ივლ	2019 ივლ/2019 ივნ	2019 ივლ/2018 ივლ
გურია	31.8%	13.7%	46.9%	24.5%	21.6%	5.4%
აჭარა	14.5%	-8.5%	18.7%	-5.1%	7.1%	-13.8%
შიდა ქართლი	10.2%	6.4%			-0.7%	1.6%
რაჭა	7.9%	17.8%			-0.7%	21.9%
ქვემო ქართლი	1.0%	0.7%	4.6%	0.7%	-4.1%	
მცხეთა-მთიანეთი	-0.2%	8.7%	1.2%	7.8%	-1.6%	9.7%
სამცხე-ჯავახეთი	-0.2%	-10.0%	1.4%	-15.6%	-1.6%	-6.4%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-0.8%	4.3%	5.7%	-15.9%	-2.4%	10.3%
კახეთი	-3.0%	2.6%	-8.0%	-2.3%	-1.5%	4.0%
თბილისი	-6.3%	-9.5%	-3.7%	-12.6%	-13.6%	1.3%
იმერეთი	-8.8%	3.1%	-5.1%	0.6%	-11.3%	4.6%
სულ ფასების % ცვლილება	0.2%	-6.5%	2.7%	-8.7%	-5.7%	-2.8%

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2019 წლის ივლისში, 2019 წლის ივნისის ფასებთან შედარებით და 2018 წლის ივლისის ფასებთან შედარებით

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო

ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების საშუალო ფასების საფუძველზე. 2019 წლის ივლისის ფასებთან შედარებით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უხვევს ოჯახი. 3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.